2022 წლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის შესყიდვების განყოფილების ანგარიში

მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის მიერ 2022 წლის საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 209 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის საერთო სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 19 მილიონ ლარი.

მ.შ.:

დაფინანსების წყაროეს მიხედვით გაფორმდა :

138 - ხელშეკრულება ადგილობრივი ბიუჯეტით დაახლოებით -6,3 მლნ. ლარზე;

26 - ხელშეკრულება სახელმწიფო ბიუჯეტით -4,3 მლნ. ლარზე;

45- ხელშეკრულება თანადაფინანსებით-8.4 მლნ. ლარზე.

შესყიდვის ტიპის მიხედვით

123- ხელშეკრულება დაიდო ელექტრონული ტენდერის საშუალებით, რამაც შეადგინა დაახლოებით 17,8 მლნ. ლარი;

17- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით -573340 ლარზე;

63-ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშიალებით -220508 ლარზე;

6-გადაუდებელი აუცილებლობით -326564 ლარზე.

13- ხელშეკრულება გაფორმდა სტიქიის პრევენციის მიზნით 16 პროექტზე ჯამში - 3687831 ლარზე;

5- ხელშეკრულება სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე ჯამში -94297 ლარზე;

2-ხელშეკრულება გაფორმდა სკოლების რეაბილიტაციის მიზნით - 57081 ლარზე;

5-ხელშეკრულება გაფორმდა სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით-116098 ლარზე, დახმარება გაეწია შეჭირვებულ რვა ოჯახს (შეკეთდა ოთხი ოჯახის: მეთეშაშვილების, ბედიანიძეების, ხიხალასვილების და მიხელიძეებს საცხოვრებელი სახლები და ოთხ ოჯახს გამოეყო მასალები).

საპილოტე პროგრამის ფარგლებში დაიდო 3 ხელშეკრულება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით დაიგო რაჭისუბნის გზა- 327511 ლარი;

- ადგილობრივი ბიზნესის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის სოფელ ხიზაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა-1869000 ლარი;

- ადგილობრივი საჯარო მომსახურების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა მუსიკალური სკოლის რეაბილიტაცია - 614650 ლარი.

ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა ასევე-- ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია და

მაისურაძის სკვერის რეაბილიტაცია.

2022 წლის ფარგლებში სამუშაოს არაჯეროვანი შესრულების გამო ოთხი კომპანია გაიგზავნა შავ სიაში დასარეგისტრირებლად: შპს ბერდე, შპს ურიში, შპს გ.ბ. დიზაინი და შპს ჩემპიონი, რომელთაგან ორი კომპანია შეყვანილია შავ სიაში ორი კომპანია კი გაფრთხილებულ მომწოდებელთა სიაში.

პატივისცემით,

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის

შესყიდვების განყოფილების უფროსი: ელისო ბოჟაძე.